ნესტან სულავა

სახისმეტყველებითი ასპექტები „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“

მოკლე შინაარსი

სამეცნიერო ლიტერატურაში „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების“ კვლევა სხვადასხვა თვალსაზრისით, კერძოდ, ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური, საღვთისმეტყველო და სახისმეტყველებითი ასპექტების გამოსავლენად კარგა ხანია მიმდინარეობს. ჩემი სტატიის განხილვის საგანია „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების“ კიმენური რედაქციის რაობის, არსის, ღირებულების, ქართველი ერის ისტორიაში ასურელ მამათა ღვაწლის, დამსახურებისა და მნიშვნელობის განსაზღვრა, სახისმეტყველებითი ასპექტების, ბიბლიური სიუჟეტებისა და ხატ-სახეების თხზულების პერსონაჟებთან მიმართებების არსობრივი განხილვა, მასში გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გამოვლენა, რათა დადგინდეს თხზულების, როგორც საღვთისმეტყველო და ლიტერატურული ნაწარმოების, ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რისთვისაც უნდა შევისწავლოთ თხზულების მიმართება ბიბლიასთან, ჰაგიოგრაფიულ და სხვა ლიტერატურულ თხზულებებთან, პერსონაჟის წარმოსახვის ჰაგიოგრაფიული ხატმეტყველება, ნაწარმოების მსგავსებები სხვა ასურელ მამათა შესახებ დაწერილ თხზულებებთან, რაც დაგვეხმარება „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების“ იდეურ-მსოფლმხედველობრივი, მხატვრულ-გამომსახველობითი, ესთეტიკური რაობა-რაგვარობის უკეთ გამოსავლენად და დასადგენად.

როგორია ასურეთიდან//სირიიდან წამოსული წმ. იოვანეს გზა, რაზე გადის იგი? როგორია ჰაგიოგრაფიული პერსონაჟი და რა თვისებებითაა აღჭურვილი? რთულია გზა, რომელიც წმ. იოვანემ აირჩია. იგი სულიერებით აღსავსე და განწმენდილი გონებით შეუდგა ქრისტეს გზაზე სვლას, რაც ქანაანისაკენ მიმავალი აბრაამის გზას მოგვაგონებს და ასეცაა გააზრებული თხზულებაში. წმ. იოვანე, „ვითარცა ვარსკულავი“, შუამდინარეთიდან გამობრწყინდა. სირიიდან ჩრდილოეთით, ქართლში წამოსვლა გადაწყვიტა. მისი ქართლს მოსვლა თხზულებაში ღვთის ნებითაა განსაზღვრული, რაც ძველი და ახალი აღთქმის ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახეებით არის ნაჩვენები. წმ. იოვანეს ქართლისაკენ წამოსვლა სახარებისეული ეპიზოდით, აღმოსავლეთით მოტყინარე ვარსკვლავისაკენ

მოგვების სვლის ეპიზოდითაა შთაგონებული, რაც, აგრეთვე, სახისმეტყველებითად გასააზრებელია.

წმ. იოვანე ზედაზნელის მოძღვრება, რომლითაც მან მიმართა თავის მოწაფეებს და რომელიც, რევაზ სირაძის ვარაუდით, თვით წმ. იოვანე ზედაზნელის მიერ შექმნილი „სწავლანი“ უნდა იყოს, აღსავსეა საღვთო სიბრძნით, ზნეობრიობითა და ღმრთივსულიერობით. მის სიტყვებში გამოსჭვივის ქრისტიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურის ღრმა ცოდნა, დიდი სულიერი გამოცდილება, დამოკიდებულება ამქვეყნიურობისა და ზესთასოფლისადმი, ძველი და ახალი აღთქმის პრინციპების ბერმონაზვნურ ყოფაში გატარებისა და დოგმების დაცვის აუცილებლობა. წმ. იოვანეს მოძღვრებაში ახსნილია ანგელოზთა და კაცთა ბუნების, სოფლისა და ზესთასოფლის რაობა, ღვთისმეტყველების ღრმაარზოვანი დებულებების საფუძველზე განმარტებულია, ვინ არის და რისთვის მოსულა ადამიანი; მან მოწაფეებს ადამის ცთომის, აკრძალული ნაყოფის გემოსხილვის ბიბლიური სიუჟეტიც გაახსენა, რათა უცთომლად სიარულს, ბერულ ღვაწლს მიჩვეოდნენ. მოწაფეები გააფრთხილა, რომ ღვთის მცნებებს არ გარდასულიყვნენ. წმ. იოვანე ზედაზნელმა აღასრულა სრბაჲ თვისი და დატოვა წმინდანის სახელი. მან და მისმა მოწაფეებმა უდიდესი მნიშვნელობის საქმეს ჩაუყარეს საფუძველი, ეს ლავრული ცხოვრება იყო, ხოლო სამონასტრო ცხოვრებას მოჰყვებოდა სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმეებიც, რადგან მონასტერი ის ადგილი//სივრცე იყო, სადაც იწერებოდა თხზულებები, სრულდებოდა თარგმანები უცხო ენებიდან, ვითარდებოდა ხატწერა, ფრესკული მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, მიმდინარეობდა ხელნაწერთა გადაწერა-გამრავლება, მონასტრებში არსებობდა სამგალობლო სკოლები, რომლებსაც ერის სულიერი აღმზრდელის როლი ეკისრებოდა, რადგან იგი, როგორც სიტყვისა და მელოსის ნაზავი, მსმენელზე უდიდეს გავლენას ახდენდა. ყოველივე ამის სათავეებთან წმ. იოვანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები დგანან. ასურელ მამათა მოღვაწეობამ ღრმა კვალი გაავლო ქართული ეკლესიის, ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიაში. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მათ განსაკუთრებული, მოციქულებრივი, კონცეპტუალური როლი შეასრულეს ქართველი ერის ქრისტიანული მართლმადიდებლური აღმსარებლობის, დიოფიზიტური ცნობიერების დამკვიდრებაში, რაც ეპოქალური მოვლენა იყო.

საკვანძო სიტყვები: წმ. იოვანე ზედაზნელი, სახისმეტყველებითი ასპექტები, ბიბლიური სიუჟეტები და ხატ-სახეები, დიოფიზიტური ცნობიერება.

Nestan Sulava

SOME SYMBOLS IN „LIFE OF SAINT IOAN ZEDAZNELI“

Abstract

The main task of my article to discuss the symbols in „Life of Saint Ioan Zedazneli“ according the special issue of the story. To study the main characteristic of the story, to identify the place of the story and its value in Georgian Literature. We have to study the story in parralel of the Bible, other hagiographical stories, we have to identify some similarities other hagiographical stories. The story has main similarities with the stories writen about the life of Saint Fathers from Asureti (Syria), all abovementioned will help us define the importance of „Life of Saint Ioan Zedazneli“, to define the value of the idea of the story, aestethic meaning of it and its fiction.

First of all we ahve to ask how does the way of Saint Ioan from Asureti looks like? Dificult way chosen by him was the way to the Christ, to the spiritual life. This way reminds us the way of Abraham to Canaan and it is shown in the story themselves. Saint Ioan like a star shined from the Medieval.He decided to went to Kartlifrom Siria. His coming to Kartli is defined by the will of the God which is given by paradigmatic-hipodigmic faces from Old and New Testament. His coming to Kartli is given by the episode from the New Testament like the star from the east and it looks like the Gospels walk trough the star which is also the symbol.

The teaching and the praying of the Saint Ioan Zedazneli is full of the wisdom from the Bible, full of the moral and pluralty. In his speech we hear the deep knowledge of theology, great spiritual experience, attitude to the mortal and heaven life, necessity of using New Testament’s principles in monkhood. In his stories it is given the explanation of characteristic of Angels and human, meaning of life and heaven life, mortal and immortal world, on the base of these studies it is given the explanation of who is the human and what is the mission of human life. He remind to the prayers the sinful life of first humans to get used to the holy life, life without sin and hard life of Monks. He remind to the prayers not to change God’s will, he lived in his way perfect and left us holy name. He and his learners established great work, it was the Monks life, life which was dealed to the state development later. Monasteries were the places where the stories were writen, some stories were translated from one language to another, making icons, architecture, rewriting of manuscripts, in moasteries there were schools for hymns, which were playing the roles of spiritual development of learners, the combination of melody and meaning was impressing the listeners. On the top of all this work was standing Sain Ioan Zedazneli and his learners. Activities carried on by the holy fathers from Asureti made great effect on the

life of Georgian Church, culture and the history of the nation and its literature. They played great role to establish the concept of Christianity within Georgians, which was the event for the epoch, especailly for establishing the diophysical consciousness.

Key Words: Saint Ioan Zedazneli, Symbols, episodes from the Bible, diophysical consciousness

მიზანი. სამეცნიერო ლიტერატურაში „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების“ სახისმეტყველებითი ასპექტების შესწავლისას ყურადღება გამახვილებულია თხზულების რაობის, არსის, ღირებულების განსაზღვრაზე საქართველოს ისტორიასა და ქართული ლიტერატურის ისტორიაში, კერძოდ, რევაზ სირაძის სტატიაში „ვიცი, რაჲსათჳს ვარ“ (სირაძე, 1992: 32-60) განხილულია თხზულების სტრუქტურა და სახისმეტყველებითი ასპექტები. „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრება“ სამი რედაქციითაა მოღწეული: კიმენური, მეტაფრასული, სვინაქსარული; მათგან კიმენურს, XIII საუკუნის ხელნაწერს, ესაა A-199, აქვს რედაქციული სხვაობის მქონე კიდევ ორი ხელნაწერი, რომლებიც პირველ ხელნაწერს მიჰყვება, მაგრამ მოკლე ტექსტია და ამიტომ ისინი ცალკე რედაქციად არც განიხილება. ჩემი სტატიის განხილვის საგანია „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების“ კიმენური რედაქციის სახისმეტყველებითი ასპექტების, ბიბლიური სიუჟეტების, მოტივებისა და ხატ-სახეების ურთიერთმიმართებების შესწავლა, მასში გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გამოვლენა, რათა განისაზღვროს თხზულების, როგორც საღვთისმეტყველო და ლიტერატურული ნაწარმოების, ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

კვლევის მეთოდი: ნაშრომში გამოყენებულია კვლევის მულტიდისციპლინური მეთოდები, კერძოდ: ისტორიულ-შედარებითი, ანალიტიკური და ჰერმენევტიკული კვლევის მეთოდები, რათა დადგინდეს თხზულების სახისმეტყველება, განისაზღვროს მისი არსი, მიმართება ბიბლიასთან, სხვა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებთან, საზოგადოდ, სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებთან, განისაზღვროს მისი მსგავსებები სხვა ასურელ მამათა შესახებ დაწერილ თხზულებებთან, რაც დაგვეხმარება „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების“ იდეურ-მსოფლმხედველობრივი, მხატვრულ-გამომსახველობითი, ესთეტიკური რაობა-რაგვარობის უკეთ გამოსავლენად და დასადგენად.

შესავალი. VI საუკუნის საქართველოს სარწმუნოებრივ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთავარ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ასურელი წმინდა მამების ქართლში მოსვლა. საქართველოში სამონასტრო ცხოვრებას საფუძველი მათ ჩაუყარეს, ქრისტიანობის გასავრცელებლად და განსამტკიცებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეკლესია-მონასტრების აშენებითა და ქადაგებით უდიდესი მისიონერული საქმიანობა, ფაქტობრივად, მოციქულებრივი ღვაწლი გასწიეს, რაც აღნიშნულია რ. სირაძის ნაშრომში (სირაძე, 1992: 32-60). არსებითად, მათი მოღვაწეობით დასრულდა საქართველოს სრული ქრისტიანიზაცია, რომელიც I საუკუნიდან დაიწყო, IV საუკუნეში წმ. ნინოს მოღვაწეობით გაგრძელდა, მიიღო სახელმწიფოებრივი სტატუსი და კიდევ გრძელდებოდა შემდეგშიც, მთელი ორი საუკუნის განმავლობაში, რადგან არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროში აღმსარებლობით საკითხთა თაობაზე ერესებთან სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური ბრძოლა საუკუნენახევრის განმავლობაში, ზოგთან მეტი ხნის განმავლობაშიც, მიმდინარეობდა. ამ მხრივ, ქართველი ერის ისტორიაში ასურელი მამების დამსახურება განსაკუთრებულია და ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს მოღვაწეობასაც კი უტოლდება იმის გამო, რომ საქართველოში ისინი დიოფიზიტური ცნობიერების დამკვიდრების სათავეებთან დგანან. თუმცა, არის მეორე, საკმაოდ ანგარიშგასაწევი შეხედულებაც, კერძოდ კ. კეკელიძისა და მის მიმდევართა თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ასურელი მამები სირიაში მონოფიზიტთა დევნას გამოექცნენ და ქართლში მოვიდნენ, ისინი მონოფიზიტები იყვნენ.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ძველ ქართულ საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო თხზულებებში საქართველოში მათი მოსვლა, ღვაწლი და დამსახურება საგანგებოდ აღინიშნება. ყოველივე ამას რამდენიმე ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულება მიეძღვნა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მათი „ცხოვრებები“ ადრევე დაუწერიათ, ვარაუდით, მათი გარდაცვალების უახლოეს წლებში, დაახლოებით VI-VII საუკუნეებში: „დაიწერა ცხოვრება და სასწაულნი მათნი და დაისხნეს ეკლესიათა შინა ქართლისათა“. დასანანია, რომ ასურელი მამების „ცხოვრებათა“ თავდაპირველ ვერსიებს ჩვენს დრომდე არ მოუღწევიათ. ამჯერად ხელთ

გვაქვს ასურელი//სირიელი მამების „ცხოვრებათა“ ორი ძირითადი ვერსია: 1) ძველი, კიმენური ვერსიები, IX-X საუკუნეებისა, სავარაუდოდ, კათალიკოს არსენის მიერ დაწერილი; მათი შემცველი ხელნაწერები უფრო გვიანდელია; 2) მეტაფრასული ვერსიები, XI-XII საუკუნეებისა, რომელთა ავტორებიც უცნობია. გვაქვს სვინაქსარული რედაქციებიც, რომელთა უმეტესობა გვიანდელია, XVII-XVIII საუკუნეებში შექმნილი. კიმენურსა და მეტაფრასულში მოიპოვება წმ. იოანე ზედაზნელის, წმ. შიო მღვიმელის, წმ. დავით გარეჯელის „ცხოვრებები“ და „წმ. აბიბოს ნეკრესელის წამება“. „ცხოვრებათა“ ვერსიების მრავალფეროვნება ძველ ქართულ მწერლობაში ასურელი მამებისადმი დამოკიდებულებას, პატივისცემას, მოკრძალებას, მათი ღვაწლის მნიშვნელობასა და პოპულარობას მოწმობს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ხელნაწერისათვის „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების“ დართვა, რაც კონცეპტუალურ ღირებულებას იძენს ასურელ მამათა აღმსარებლობის განსასაზღვრად.

ასურელ//სირიელ მამათა შესახებ მოკლე ცნობები დაცულია აგრეთვე IX-XI საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ გაგრძელებაში, რომლის ავტორად მეცნიერთა ნაწილი ლეონტი მროველს, ნაწილი ჯუანშერს მიიჩნევს. XVIII საუკუნის დასაწყისში „სწავლულ კაცთა მიერ“ შედგენილ „ქართლის ცხოვრებაში“ სხვა დამატებებთან ერთად შეტანილია ზოგიერთი ასურელი მამის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდები და მათი სახელების ჩამონათვალი. ასურელ მოღვაწეებს ორიოდე სიტყვით ვახუშტი ბატონიშვილიც ახსენებს. საქართველოში ანაქორეტული ფორმით ბერმონაზვნობა სირიელ მამათა ჩამოსვლამდეც არსებობდა, ხოლო ასურელმა//სირიელმა მამებმა ჩვენთან საფუძველი ჩაუყარეს კინობიტურ (კინოვიალურ) და ლავრულ ცხოვრებას, თუმცა, ისინი მარტოდმყოფობის მიმდევრებიც იყვნენ. გრიგოლ ფერაძის შეხედულებით, ანაქორეტული, ანუ მარტოდმყოფობის, ფორმა ბერმონაზვნობისა საქართველოში მათ მოსვლამდეც არსებობდა, ხოლო ასურელმა მამებმა ლავრულ მოღვაწეობას ჩაუყარეს საფუძველი (ფერაძე, 2006). ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „წმ. შუშანიკის წამებაში“ ნახსენები ვინმე „წმიდა კაცი“, რომელიც, ასმათ ჯიქიას ვარაუდით, მარტოდმყოფი ბერი უნდა ყოფილიყო (ჯიქია, 2002: 47-48). აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ასურელ

მამათა მიერ დაარსებული მონასტრები ძალიან მალე იქცა მძლავრ სამონასტრო ცენტრებად და საქართველოს სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში მთელი შუა საუკუნეების მანძილზე უდიდესი როლი შეასრულა. საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ასურელი მამები წმინდანებად შერაცხა.

ასურეთიდან მოსულ წმინდა მამათა მოსვლასთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი დაისმის: ასურელ მამათა „ცხოვრება-წამების“ რედაქციები და მათი დაწერის თარიღი[1]; ასურელი მამების რაოდენობა; ვინაობა, ეროვნება, ენა; საქართველოში მათი მოსვლის დრო; რელიგიური მრწამსი: რას აღიარებდნენ, დიოფიზიტობას, მონოფიზიტობას თუ ნესტორიანობას; ასურელ მამათა დამსახურება ქართული ეკლესიის წინაშე; მათი „წამება-ცხოვრებათა“ ავტორობის პრობლემა; ტექსტოლოგიური საკითხები. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხთა შესახებ დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა. და ბოლოს, უნდა შეფასდეს თხზულებათა საღვთისმეტყველო, სახისმეტყველებითი, ლიტერატურულ-მხატვრული და ესთეტიკური ღირებულება, რათა განისაზღვროს მათი მნიშვნელობა და ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. სტატიაში სწორედ ამ ბოლო საკითხთა შესახებ, განსაკუთრებით სახისმეტყველებითი პრობლემატიკის შესახებ, გვექნება მსჯელობა.

მსჯელობა. ორიოდე სიტყვით ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველებითი ასპექტების თაობაზე. ქრისტიანული ლიტერატურისა და ხელოვნების სახისმეტყველებითი აზროვნების საწყისები მითოსში, უძველეს ლიტერატურაში, ფილოსოფიურ თხზულებებსა და ბიბლიაშია საძიებელი. ამიტომ მიიჩნევა მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების უმთავრეს საფუძვლად სახეებით აზროვნება, შესაბამისად, ლიტერატურა და ხელოვნება მხატვრული აზროვნების შედეგია. მხატვრულ ლიტერატურაში სამყარო შეიცნობა სახეობრივი აზროვნებით, ხოლო ქართული ლიტერატურა, როგორც ქრისტიანული კულტურის გამოხატულება, ქრისტიანული სახეობრივი აზროვნების საფუძველზე გაიაზრება, რის განხილვის საფუძველზე რევაზ სირაძე იმ

[1] „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების“ სინური ხელნაწერის აღმოჩენის შემდეგ, რომელიც 2009 წელს გამოსცა ზაზა ალექსიძემ, აუცილებელია მისი გათვალისწინებით მეცნიერული ტექსტის ხელახლა მომზადება.

დასკვნამდე მივიდა, რომ სახისმეტყველება ქართული ესთეტიკური აზროვნების მაჩვენებელია (სირაძე, 1975). სწორედ ამიტომ მხატვრულ ნაწარმოებში ისტორიული ფაქტების, მოვლენების, პიროვნებათა სახისმეტყველებითი ასპექტების შესწავლა, როგორც სააზროვნო სისტემისა, ეპოქის თეოლოგიური სურათის წარმოსახვის, რელიგიური შეხედულებების შეფასების საშუალებას მოგვცემს. მწერლის მიერ ლიტერატურულ ნაწარმოებში მოცემული ერის განვითარების ეტაპების ცალკეულ ისტორიულ მოვლენათა თუ მთელი ეპოქების შესასწავლად უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა სახისმეტყველება, როგორც სააზროვნო სისტემა, რომელიც გვეხმარება ფაქტებისა და მოვლენების ეპოქის ფსიქო-ისტორიულ, რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ ჭრილში გასაანალიზებლად. „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრება“, სხვა ასურელ მამათა წამება-ცხოვრებებთან ერთად, მეტად საინტერესო სურათს იძლევა სახისმეტყველებითი ასპექტებისა და ამ თხზულებათა მხატვრული სამყაროს წარმოსაჩენად.

ზემოთ აღინიშნა, რომ „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრება“ ორი კიმენური რედაქციით გვაქვს შემონახული: 1. ერთია შედარებით ვრცელი, რომელიც ასეა დასათაურებული: „ცხორებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისაჲ, რომელი ბრძანებითა ღმრთისაჲთა და წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა მოივლინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლისად ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა“; მას აქვს მინაწერი, რომელიც გვამცნობს, რომ იგი „განაახლა და განავრცო წმიდამან [მამამან] ჩუენმან ქრისტეს მიერ არსენი კათალიკოზმან“ (ძეგლები, 1963//1964: 191). 2. მეორე მოკლე რედაქციაა, რომელიც ორ ხელნაწერშია დაცული და დასათაურებულია შემდეგნაირად: „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისა და მოწაფეთა მისთაჲ, რომელთა განანათლეს ქუეყანაჲ ესე ჩრდილოეთისაჲ“; აქვს მინაწერი: „ხოლო აღწერა არსენი კათალიკოზმან სარგებელად, რომელნი ისმენდენ“ (ძეგლები, 1963//1964: 191). ორივე თხზულების სახელწოდება სახისმეტყველებით ელემენტებს შეიცავს, რადგან იმთავითვეა მონიშნული ევანგელური მოძღვრების პარადიგმად წმ. იოვანე ზედაზნელისა და მისი თორმეტი მოწაფის ზუსტი ანალოგია მაცხოვრისა და მისი თორმეტი მოწაფის მიმართ, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ აღნიშნულიცაა. (კ. კეკელიძე, ი. ჯავახიშვილი, რ. სირაძე, ილ. აბულაძე და სხვ.).

ამავე დროს, სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ, კორნელი კეკელიძისა და ივანე ჯავახიშვილის შრომებში, აღნიშნულია, რომ ასურელი მამები ცამეტნი არ ყოფილან, გაცილებით მეტნი იყვნენ, რაც შემდგომი პერიოდის მეცნიერებმაც გაიზიარეს. მიუხედავად ამისა, სათაურის სიმბოლიკა მთელ ნაწარმოებს გასდევს. ამასთან საგანგებო ყურადღებას იქცევს მოკლე ტექსტის სათაურში გამოთქმული სიმბოლური ხატი: „რომელთა განანათლეს ქუეყანაჲ ესე ჩრდილოეთისაჲ“, რაც ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნის, უმზეო ქვეყნის სულიერ განათებას, ნათლით შემოსვას მოასწავებს, ხოლო ჩრდილოეთის ქვეყანა, უმზეო ქვეყანა საქართველოა (შდრ.: სირაძე, 1992: 32-60). ასევე იყო ჩრდილოეთის ქვეყნად „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტშიც ქართლი წარმოსახული, საითკენაც უნდა წასულიყო წმ. ნინო ქრისტიანობის საქადაგებლად. „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ ამ ფრაზას სხვა დანიშნულება, სხვა ღირებულებითი კონოტაციაც უნდა ჰქონდეს. რას უნდა ნიშნავდეს „განანათლეს“, როდესაც საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად წმ. ნინოს მოღვაწეობის შედეგად გამოცხადდა 326 წელს; ნანა დედოფლისა და მირიან მეფის გაქრისტიანება იყო ბოლო საფეხური, როდესაც ქართლის ოფიციალური გაქრისტიანების პროცესი, მოქცევის პროცესი დასრულდა და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ჩვენი აზრით, „განანათლეს“ დიოფიზიტური ცნობიერების, მრწამსის დამკვიდრებას მოასწავებს, რადგან VI საუკუნის ქართლი, აღმოსავლეთ საქართველო სარწმუნოებრივად აღრეულია, ერთდროულად არსებობდა მონოფიზიტობა, დიოფიზიტობა, ნესტორიანობა (შედარებით ნაკლებ გავრცელებული). თუ ამ სიტყვაში დიოფიზიტობა არ იგულისხმება, მაშინ მხოლოდ სამონასტრო ცხოვრების დამკვიდრებაღა რჩება, რაც ქართველი ერის ისტორიაში ასურელ მამათა ღვაწლის ღირებულებას არასრულად მოგვააზრებინებდა.

თხზულებას წინ უძღვის არსენ ქართლის კათოლიკოსის წინასიტყვა ეპისტოლის სახით, რომელშიც ავტორის მიზანდასახულობა, მსოფლმხედველობა, ქრისტიანული დოგმების მოკლე მიმოხილვა, თხზულების დამკვეთის, მიქაელისადმი მიმართვაა გადმოცემული (ძეგლები, 1963//1964: 192-196). იგი დეტალურად აქვს განხილული რ. სირაძეს (სირაძე, 1992: 37-43), ამიტომ აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ეპისტოლე მოწმობს ავტორის ღრმა განათლებას საღვთისმეტყველო ლიტერატურის

თითქმის ყველა დარგში, განსაკუთრებით ბიბლიის, დოგმატიკის, ეპისტოლოგრაფიისა და სხვა დარგების ცოდნის მაღალ დონეს; ამ თვალსაზრისით ბევრი რამ არის საერთო იოვანე საბანის ძის ჰაგიოგრაფიულ თხზულებასთან, რომლის ეპისტოლეში სამოელ ქართლის კათალიკოსისადმი და ჰაგიოგრაფიული თხზულების პირველ თავში ავტორის ქრისტიანული მსოფლმხედველობა და სამყაროს აღქმა გამოსჭვივის, ხოლო საღვთისმეტყველო ლიტერატურის ძირითადი პრობლემატიკა ღრმადაა გაანალიზებული. მეტად მნიშვნელოვანია იოვანე საბანის ძისა და არსენი კათალიკოსის ეპისტოლეებში მკითხველისა თუ მსმენელისადმი მიმართვა, რომელიც მოითხოვს თხზულებაში მონათხრობის აღსაქმელად „სასმენელთა განმზადებას და სარწმუნოებით შეწყნარებას“ (ძეგლები, 1963/1964: 196). „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრებისათვის“ წამძღვარებულ ეპისტოლეში ღმერთის შესახებ დოგმატიკურ შეხედულებებთან ერთად გადმოცემულია სამყაროს შექმნის ბიბლიური მონათხრობი, ბიბლიურ პერსონაჟთა ამბები, რომელთაც ჰიპოდიგმური სიმბოლური და მხატვრული მისია აკისრიათ ჰაგიოგრაფიული პერსონაჟების სრულყოფილად წარმოსახვის მიზნით.

თხზულების ავტორი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რა იყო მოღწეული ასურელ//სირიელ მამათა წამება-ცხოვრებიდან და თვითონ რატომ შეუდგა მათ შესახებ თხზულებათა შექმნას. როგორც ეს წინათქმა გვაუწყებს, ასურელ მამათა „ცხორებების“ ყველა კიმენური თხზულება არსენს დაუწერია მის ხელთ არსებული არასრულად აღწერილი ძველი ცხოვრებების საფუძველზე, ამავე დროს, სხვათაგან, მცოდნე პირთაგან, გამოუკითხავს და ისიც ჩაურთავს აღსაწერად. ასურელ//სირიელ მამათა „წამება-ცხორებათა“ შორის რიგით პირველი თხზულება „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრებაა“, რომლის მთავარი პერსონაჟი, ცხადია, თვით წმ. იოვანე ზედაზნელია.

როგორაა ასახული წმ. იოვანე ზედაზნელი თხზულებაში და რა სულიერი მისია აკისრია მას, მის ღვაწლს ქართული ეკლესიის ისტორიაში, ქართველი ერის სულიერი ცხოვრების მოწესრიგებაში, რამ განსაზღვრა ქართლში მისი მოსვლა და როგორ, რა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებითაა წარმოსახული თხზულებაში. ძირითადად ამ საკითხთა შესახებ გვექნება საუბარი. წმ. იოვანე წარმოშობით იყო სირიიდან, „ქუეყანით შუამდინარით“, ანტიოქიიდან. თხზულების დასაწყისიდანვე იგი „ღმერთშემოსილის“ ეპითეტით, სიმბოლოთი

შემოდის[2], რომელიც ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში „ქრისტეშემოსილობას“ უკავშირდება, მისგან მომდინარეობს და მისი ერთგვარი სახეცვლილი ვარიანტია. წყაროების მიხედვით, იოვანეს მშობლების ვინაობა უცნობია. ჰაგიოგრაფიაში ხშირია გმირის იმგვარად წარმოსახვა, როდესაც მის ოჯახზე, გარემოზე ავტორი ბევრს ვერაფერს გვეუბნება, ან საერთოდ ვერაფერს ამბობს, რადგან ეს მისთვის, როგორც ჰაგიოგრაფისათვის, არაა მნიშვნელოვანი. ისიც შესაძლოა, რომ არც არაფერი იცოდეს. თუმცა, გვაქვს ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა მთელი რიგი, რომლებშიც მთავარი პერსონაჟის გვარ-ჩამომავლობაზე, ვინაობაზე, ოჯახზე განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული, რასაც ევანგელური ახსნა აქვს: „ესრეთ ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღოს. ვერ ჰელეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად, და არცა ხესა ხენეშსა ნაყოფი კეთილი ყოფად“ (მ., 7, 17-18); ე.ი. ჩამომავლობას, წრესა და გარემოს წმინდანის სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებაში წვლილი მიუძღვის. წმ. იოვანეს ოჯახის შესახებ ცნობების მოუწოდებლობა შესაძლოა უფრო ამ ცნობათა მოუღწევლობამ განაპირობა, რადგან, როგორც ზემოთაც ითქვა, თხზულების არქეტიპი არ შემონახულა, ხოლო ის, რაც ხელთ გვაქვს, გვიან, X საუკუნეში დაიწერა; ავტორი თავად ამბობს, რომ იგი თხზულების მეორედ აღმწერია: „ჩუენდა ნეტარ არს მეორედ აღწერად“ (ძეგლები, 1963//1964: 198). ავტორს დიდ პატივად მიაჩნია თხზულების მეორედ აღწერა, რადგან, ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ყოველი სასულიერო თხზულება ძველ ნააზრევსაც ასახავს და აქ გათვალისწინებული არაა საავტორო უფლებები მასთან დაკავშირებული პრობლემებით იმ რწმენის გამო, რომ ყველაფერი სული წმიდისაგან მოდის, სული წმიდის დაწერილია და ჰაგიოგრაფი-მწერალი ღვთაებრივი აზრის მხოლოდ გამტარია, მსმენელისა თუ მკითხველისათვის გადამცემია, და სწორედ ესაა მისი უმთავრესი ღირსება (შდრ.: გიორგი მერჩულის ცნობა წმ. გრიგოლ ხანცთელის მიერ „საწელიწდო იადგარის“ დაწერის შესახებ).

---

[2] „ღმერთშემოსილის“ შესახებ იხ.: ლ. გრიგოლაშვილი, დროისა და სივრცის პოეტიკა ქართულ ჰიმნოგრაფიაში, კრებ.: ივირონი – 1000. თსუ გამომც., 1983.

როგორია წმ. იოვანეს გზა, რაზე გადის იგი? გზა, რომელიც წმ. იოვანემ აირჩია, რთულია, იგი სულიერ ღირებულებათა მოპოვებასა და სისრულის მიღწევაზე გადის. გასათვალისწინებელია წმ. იოვანე ზედაზნელის სახელის სიმბოლური არსი, იგი „ღვთის მადლს“ აღნიშნავს, რაც წმინდანის ქმედების მნიშვნელობასა და ღირებულებას მიუთითებს. მისი საქმიანობა, ქართლისაკენ სვლა ღვთის მადლითაა გამსჭვალული და მოტივირებული. მან საქართველო ღვთის მადლით უნდა აღავსოს და ჭეშმარიტი რწმენის დამკვიდრებას შეუწყოს ხელი. ამიტომაც შემოდის თხზულებაში წმ. იოვანე ზედაზნელი იოანე ნათლისმცემლისა და იოანე მახარებლის/ღვთისმეტყველის პარადიგმით, ხოლო ზედაზენზე აშენებული ტაძარი და იქ დაარსებული მონასტერი იოანე ნათლისმცემლის სახელს ატარებს. როგორც იოანე ნათლისმცემელია მაცხოვრის წინამორბედი და მას ამ ზედწოდებითაც ვიცნობთ, ასევე წმ. იოვანე ზედაზნელი ქართველი ერისათვის სულიერების თვალსაზრისით წინამორბედია, რადგან მას და მის მოწაფეთა სახელს უნდა დავუკავშიროთ დიოფიზიტური ცნობიერების დამკვიდრება (სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად ორგვარი შეხედულებაა გამოთქმული ასურელ წმინდა მამათა აღმსარებლობის შესახებ, მაგრამ მათ განხილვას აქ არ შევუდგებით).

სულიერებით აღსავსე და განწმენდილი გონებით შეუდგა წმ. იოვანე ქრისტეს გზაზე სვლას, რაც ქანაანისაკენ აბრაამის გადაადგილებას, სივრცის შეცვლას, სულიერების მოსაპოვებლად გასავლელ გზას მოგვაგონებს. წმ. იოვანე ახალგაზრდობისას, „სიჭაბუკითვე თჳსით“ ასურეთში//სირიაში ბერად შედგა და სულიერი სრულყოფის მაღალ საფეხურს იქვე მიაღწია, როგორც მარხვით, სიმდაბლით, მარადის მღვიძარებით, ცრემლით, ვედრებით, ლოცვით, შრომითა და მოღუაწეობით გამორჩეულმა პიროვნებამ; ღვთისაგან მინიჭებული მადლით იზრდებოდა, როგორც თხზულებაშია ნათქვამი, „დღითი-დღე წარემატებოდა“ (ძეგლები, 1963//1964: 197). იგი, „ვითარცა ვარსკულავი“, შუამდინარეთიდან გამობრწყინდა, ღმერთმა, მაცხოვრისა და სხვა წმინდანთა დარად, წინასწარმეტყველებისა და სნეულთა კურნების უნარი მიანიჭა, რის შედეგადაც მთელს სირიაში გაითქვა სახელი. ვარსკვლავივით გამობრწყინება მაცხოვრის შობისას მოკაშკაშე ვარსკვლავის გამოჩენასა და მოგვთა თაყვანისცემის სცენას შეიძლება შევადაროთ, რადგან სამხრე-

თიდან იწყება წმ. იოვანეს ღვთის მადლით აღვსილი მოღვაწეობა საქართველოში. სირიაშივე კურთხევის მისაღებად მასთან მრავალი ადამიანი მიდიოდა. სხვა ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა პერსონაჟ-წმინდანების მსგავსად, წმ. იოვანე გაურბოდა ამქვეყნიურ დიდებას, განმარტოებისაკენ ისწრაფვოდა, მარტოდ დაყუდება სწადდა. ამიტომ რამდენიმე მოწაფესთან ერთად შორეულ უდაბნოში წავიდა, გამოქვაბულში დამკვიდრდა და „ჰგონებდა ფარვასა თავისა თჳსისასა“ (ძეგლები, 1963//1964: 197). ეს მოტივი, „ფარვა თავისა თჳსისა“, უთუოდ გვეცნობა, რადგან ჰაგიოგრაფიაში ერთობ გავრცელებულია. მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ 1. ხუედიოსი, რომელმაც წმ. გრიგოლისა და მის თანამოაზრეთაგან მოითხოვა, რომ მის სიცოცხლეში ხანცთაში ტაძარი არ აეგოთ, მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ ეძლეოდათ საამისო კურთხევა; 2. ამისკენ მიისწრაფვის წმ. იოვანე მთაწმინდელი, რომელმაც ჯერ ოთხთა მონასტერს მიაშურა, შემდეგ ათონზე მყოფი ესპანეთის იბერიისაკენ მიიწევდა სულიერი მომავლისა და სიმარტოვის მისაღწევად; 3. წმ. გიორგი შეყენებული, რომელიც ანტიოქიაში „ნაპრალსა შინა“ მყოფობდა და სხვ. მაგრამ წმ. იოვანე ზედაზნელს აქაც მიაგნეს და მასთან ლოცვა-კურთხევის მისაღებად ხშირად დადიოდნენ, რითაც მის მისწრაფებას მარტოობისა და განდეგილური ცხოვრებისაკენ საფრთხე დაემუქრა, რის გამოც გადაწყვიტა უცხო ქვეყანაში წასვლა, სადაც არავინ იცნობდა და სადაც განმარტოებით დაყუდების შესაძლებლობა მიეცემოდა. სულიწმინდის მითითებით ასურეთიდან//სირიიდან ჩრდილოეთით, ქართლში წამოსვლა მარტოდმყოფობის მძაფრმა სურვილმა და მისწრაფებამ გადააწყვეტინა. მისი ქართლს მოსვლა თხზულებაში ღვთის ნებითაა განსაზღვრული, რაც ძველი და ახალი აღთქმის ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახეებით არის ნაჩვენები. ერთი მხრივ, ძველი აღთქმის კვალობაზე მისი სვლა ქართლისაკენ ქანაანისაკენ აბრაამის სვლის პარადიგმად გაიაზრება, რადგან ორივენი, აბრაამი და წმ. იოვანე ზედაზნელი ღმერთმა გამოიყვანა „ერთისაგან ქუეყანისა, ერთისაგან ნათესავისა“ (ძეგლები, 1963//1964: 198).

წმ. იოვანეს ქართლში მოსვლა პავლე მოციქულის სიტყვებითაა განტკიცებული: „უკუეთუ თქუენ ქრისტესნი ხართ, აბრაამისნი ვიდრე-მე შვილნი ხართ, აღთქუმისაგან მისგან მკჳდრნი“ (გალატ. 3, 29), რაც მიუთითებს, რომ წმ. იოვანე ზედაზნელი აღთქმის შვილია და მისი ღვაწლი ქრისტიანულ

სამყაროს უნდა გასწვდეს. მისი მრწამსია: „დაღათუ ვპოვო, რომელსა ვეძიებ“ (ძეგლები, 1963//1964: 198) და „ვიცი, რაჲსათჳს ვარ“. ყოველივე ეს ევანგელური სწავლებითაა მოტივირებული: „ირეკდით და განგეღოს, ითხოვდით და მოგეცეს, ეძიებდით და ჰპოვოთ“ (მათე, 7, 7; ლუკა, 11, 9). მეორე მხრივ, წმ. იოვანეს ქართლისაკენ წამოსვლა სახარებისეული ეპიზოდით, აღმოსავლეთით მოტყინარე ვარსკვლავისაკენ მოგვების სვლის ეპიზოდითაცაა შთაგონებული, რასაც, აგრეთვე, სახისმეტყველებითი გააზრება უდევს საფუძვლად.

წმ. იოვანე მაცხოვრის სიმბოლიკით იწყებს სვლას ქართლისაკენ. მანამდე მას შემოკრებილი ჰყავდა მოწაფეები, რომელთა ჰიპოდიგმად მაცხოვრის მოწაფეები იგულისხმებიან. წმ. იოვანეს ვინაობა ღვთის ნებით გაცხადდა, როგორც ღვთის მონისა და ესეც სახარებითვეა ახსნილი: „ყოველი, რომელი დაიმდაბლებდეს თავსა თჳსსა, იგი ამაღლდების“ (მათე, 23, 12; ლუკა, 18, 14). მოწაფეებმა არ ისურვეს მოძღვართან განშორება, რისთვისაც ბიბლიური სიბრძნე დაიმოწმეს: „ცხოველ არს უფალი, ცხოველ არს სული შენი, არა განგიტეოთ შენ მარტოჲ“ და მასთან ერთად გამოემართნენ. თხზულებას პოეტურობას სძენს მწერლის რიტორიკული მიმართვა მოწაფეთა ღვაწლის შესაფასებლად, რომელშიც მოძღვრისა და მოწაფის ამაღლებული სიყვარული წარმოჩნდება: „ჰ შუენიერთა მოძღურისა მოწაფეთა კეთილი იგი შეთქმულებაჲ! საკრველსა მას სიყჳარულისასა შეეკრნეს, ორნატსა მას ქრისტჱსსა მიზიდვიდეს ერთობით“ (ძეგლები, 1963//1964: 199). მაგრამ წმ. იოვანეს ქართლში ყველა თავისი მოწაფე არ წამოუყვანია, მას არც შეეძლო ყველა მოწაფე წამოეყვანა ქართლში, ესეც ევანგელური მოტივაციით არის თხზულებაში ახსნილი: „ესრეთ იყვნენ წინანი უკუანა, და უკუანანი წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“ (მ. 20, 16). ზოგიერთი წყაროს მიხედვით, წმ. იოვანეს უფალმა უბრძანა გამოერჩია 12 მოწაფე და რწმენის განსამტკიცებლად მათთან ერთად წასულიყო ქართლში. წმ. იოვანემ და მისმა მოწაფეებმა 10 დღე გაატარეს ლოცვასა და მარხვაში, შემდეგ ყველა მოწაფის სახელები ჩამოწერეს და საკურთხეველზე დაალაგეს. ყველანი მთელი ღამის განმავლობაში ლოცულობდნენ. მეორე დღეს, ჟამისწირვის შემდეგ, ანგელოზმა საკურთხევლიდან აიღო და წმ. იოვანეს ხელში ჩაუდო ნაწერი, რომელზეც 12 მოწაფის სახელი ეწერა. სწორედ ეს მოწაფეები უნდა წაეყვანა იოვანეს ქართლში.

წმ. იოვანე და მისი მოწაფეები ასურეთიდან//სირიიდან საქართველოსაკენ გამოემართნენ. როგორაა ასახული ქართლი და მისი სულიერი ვითარება ამ წმინდა მამათა მოსვლისას, როგორი ქვეყანა დაუხვდათ წმ. იოვანე ზედაზნელსა და მის მოწაფეებს? ცხადია, ეს ეპიზოდიც სახარებისეული სახისმეტყველებით წარიმართება, როგორც ეს არაერთგზის აღუნიშნავთ სამეცნიერო ლიტერატურაში (კ. კეკელიძე, ლ. მენაბდე, რ. სირაძე და სხვ.), წმ. იოვანე ზედაზნელისა და მისი 12 მოწაფის ხატ-სახე მაცხოვრისა და მისი 12 მოწაფის პარადიგმაა. წმ. იოვანე და მისი მოწაფეები ქართლისაკენ გაეშურნენ, როგორც აღთქმული ქვეყნისაკენ. ისინი თავდაპირველად მცხეთაში მოვიდნენ. წმ. შიო მღვიმელის „ცხოვრების“ მიხედვით, ეს ის დრო იყო, როდესაც წმ. სვიმეონ საკვირველთმოქმედი „თორნესა შინა მჯდომარე იყო“. წმ. იოვანე მოწაფეებთან ერთად მივიდა მასთან და კურთხევა გამოსთხოვა. ეს ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დროითი ორიენტირი უნდა იყოს, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ცნობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, ისიც გაურკვეველია, რომელი სვიმეონი იგულისხმება, უფროსი თუ უმცროსი, რაც დათარიღების შესახებ განსხვავებული აზრის არსებობის საფუძველს ქმნის. „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების“ ამ ეპიზოდთან დაკავშირებით რ. სირაძემ მის შესაძლო წყაროზე მიუთითა და ესაა კირილე სკვითოპოლელის „წმ. საბა პალესტინელის ცხოვრება“, რომელშიც წმ. საბას კასტელის მიდამოებში დამკვიდრებასა და მისი „ეშმაკთა გუნდისაგან“ განწმენდაზეა საუბარი (სირაძე, 1992: 48-49).

წყაროთა ნაწილი მიუთითებს, რომ ქართლის კათოლიკოსს ევლავიოსს ანგელოზმა წმ. იოვანეს მეთაურობით ასურელ მამათა ქართლს მოსვლის ამბავი წინასწარ აუწყა, რის შემდეგაც იგი ეპისკოპოსებთან ერთად მცხეთის მისადგომებთან გამოეგება და აკურთხა ისინი. თხზულებაში ნათქვამია, რომ წმ. იოვანე ამ შეხვედრისას სასწაულებრივად ალაპარაკდა ქართულად. ჰაგიოგრაფიაში ენის ფენომენი განსაკუთრებულად დგას, იგი ევანგელურია, რადგან უცხო ქვეყანაში მოხვედრილ არც ერთ წმინდანს ენობრივი ბარიერი არ აქვს. ეს ფაქტი მარტვილიის, სულთმოფენობის დღეს ღმერთის მიერ მოციქულთათვის იმ ენის ცოდნის მინიჭების ჰიპოდიგმად უნდა მივიჩნიოთ, რომელზეც უნდა ექადაგათ ქრისტიანობა ამა თუ იმ ქვეყანაში, რადგან ისინი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა ქვეყანაში წარიგზავნნენ ახალი სჯულის საქადაგებლად, რაც

„საქმე მოციქულთას“ ტექსტის მოტივაციით წარმოგვიდგება: „და აღსრულებასა მას დღისა მეერგასისასა, იყვნეს ყოველნი ერთბამად ურთიერთას, და იყო მეყსეულად ზეცით ოხრაჲ, ვითარცა მოწევნაჲ ქარისა სასტიკისაჲ, და აღივსო ყოველი იგი სახლი, სადა-იგი იყვნეს მსხდომარე. და ეჩუენნეს მათ განყოფანი ენათანი ვითარცა ცეცხლისანი, და დაადგრა თითოეულად კაცად-კაცადსა მათსა ზედა. და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მოსცემდა მათ სიტყუად“ (საქმ. მოც. 2, 1-4).

მცხეთაში წმ. იოვანემ და მისმა მოწაფეებმა მაცხოვრის კვართის ადგილზე წმ. ნინოს ლოცვით სასწაულებრივად აღმართულ ცხოველმყოფელ სვეტს თაყვანი სცეს და ღმერთს მათი მომავალი სამკვიდრებელი ადგილის მითითება შესთხოვეს, რასაც რ. სირაძე წმ. ნინოს მოღვაწეობას უკავშირებს (სირაძე, 1992: 52-54). ავტორი მცხეთის მთავარ ტაძარში ღმრთივაღმართებულ წმინდა კათოლიკე სვეტს ახსენებს, რომლის აღმართვა ვერავინ შეძლო და მხოლოდ წმ. ნინოს ლოცვით, ღმერთისადმი ვედრებით, სასწაულებრივად აღიმართა. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციებში ყველგან ცეცხლოვანი ჭაბუკია მოხსენიებული სვეტის აღმმართველად, ხოლო „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრება“ მას არ ახსენებს და ცხოველი სვეტი მაცხოვრის ძალით აღმართულადაა მიჩნეული. უფლის კვართის დაფლვის ადგილის, ცხოველი სვეტის მოლოცვის შემდეგ ღმერთმა წმ. იოვანესა და მის მოწაფეებს მცხეთის მახლობლად მდებარე ზედაზნის მთა მიუთითა დასავანებლად, სადაც წმ. იოვანემ „სრბაჲ თჳსი აღასრულა“ (ძეგლები, 1963/1964: 200); მომავალ სულიერ ცხოვრებაში მათი წინამძღვარია მაცხოვრის კვართი, ცხოველი სვეტი და კათოლიკე ეკლესია, რაც პავლე მოციქულის მოძღვრებითაა განმტკიცებული: „ვითარ ჯერ-არს სახლსა შინა ღმრთისასა ყოფად, რომელ არს ეკლესიაჲ, სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ, რომელი-იგი, ეჩუენა ანგელოზთა, იქადაგა წარმართთა შორის და ჰრწმენა სოფელსა“ (შდრ.: I ტიმ. 3, 15-16).

წმ. იოვანემ და მისმა მოწაფეებმა საღვთო სახლის მკვიდრობის მოპოვების გზაზე სვლისას ყველა დაბრკოლება გადალახეს, არაგვი გადაკვეთეს, ავიდნენ მთაზე, სადაც წმ. ნინოს მოღვაწეობის დროიდან მოყოლებული ჯვარი პატიოსანი იყო

აღმართული და თაყვანი სცეს მას. აქედან გადავიდნენ ზედაზ-ნის მთაზე, სადაც პოვეს ნავსაყუდელი, ე.ი. ასურეთიდან//სი-რიიდან მოსული წმინდა მამები ზედაზენზე დამკვიდრდნენ.

ზოგ წყაროში მითითებულია, რომ წმ. იოვანე ზედაზნელსა და მის მოწაფეებს კათალიკოსმა ევლავიოსმა ზედაზნის მთაზე დამკვიდრება არ ურჩია; აუხსნა, რომ ეს მთა უკაცურია, რადგან იქ ადრე წარმართთა სალოცავი და კერპები იყო, რომლებიც, მართალია, წმ. ნინომ დაამსხვრია, მაგრამ მას შემდეგ იქ ჯერ კიდევ ავი სულები მაინც ბინადრობდნენ. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია რ. სირაძის მოსაზრება დემონოლოგიის შესახებ, რომლის მიხედვით წმინდანებს დაბრკოლება ხვდებათ სულიერი განვითარების გზაზე (სირაძე, 1992: 49-50). დემონთა სამკვიდრებელი სულიერად უნდა განწმენდილიყო, რის პატივიც წილად ხვდათ ასურელ//სირიელ წმინდა მამებს წმ. იოვანე ზედაზნელის მეთაურობით. მათ აზრი არ შეიცვალეს, რის შემდეგაც კათალიკოსმა ისინი აკურთხა, დალოცა და გაუშვა. ზედაზნის მიდამოების ხილვამ წმ. იოვანე ზედაზნელს წარუ-შლელი შთაბეჭდილებები დაუტოვა, რადგან იგი განდეგილური ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის სავსებით შესაფერისი იყო. ეს იყო დაუსახლებელი ადგილი, სადაც მხოლოდ მხეცები ბინადრობდნენ. წმ. იოვანე ზედაზნელის დამკვიდრება ზედაზნის მთაზე ფსალმუნური სიტყვებითაა მოტივირებული: „ესე არს განსასუენებელი ჩემი, უკუე ამას დავემკჳდრო, რამეთუ მთნავს ესე“ (ფს. 131, 14). ახალნერგ წმინდა მამებს დიდი მისია ეკისრებოდათ. ისინი გამუდმებით ლოცულობდნენ, რათა ეს ადგილი ბოროტი ძალებისაგან მალე განწმენდილიყო.

წმ. იოვანეს ზედაზენზე დამკვიდრებას თხზულების ავტორი ორგვარად ხსნის:

1. როგორც აარონის შესამოსელზე, კვართზე, 12 პატიოსანი თვალი განლაგდა და იყო ყველასთვის როგორც სამკურნალო და სარგებელი, ასე წმ. იოვანე და მისი 12 მოწაფე უნდა გამხდარიყო სამკაული და გვირგვინი წმინდა ქალაქისათვის, ე.ი. მცხეთისათვის, რომელიც სხვადასხვა წყაროში, განსაკუთ-რებით ქართლის ქრისტიანობაზე მოქცევის ამსახველ თხზუ-ლებებში, იერუსალიმის მოდელით წარმოგვიდგება[3]: „რადთა

[3] მცხეთის იერუსალიმის მოდელით წარმოსახვის, კერძოდ ტოპო-ნიმური თვალსაზრისით თანხვედრის, თაობაზე საგანგებო სამეცნიერო ნაშრომი ეკუთვნის კორნელი კეკელიძეს (კეკელიძე, 1957: 362). ამავე

სამკაულ იქმნას და გჳრგჳნ ჩუენისა ამის ქალაქისა იგი და მოწაფენი მისნი, ათორმეტნი იგი თუალნი პატივ-ცემულნი მიხედვითა, განდგმულ კუართსა მას აარონისსა, სარგებელ და მკურნალ ყოველთათჳს მყოფთა ქალაქისა ამის ჩუენისა, რომელნი ხადიან მათ, რომელნი მცირედ შემდგომად მიგეთხრას“ (ძეგლები, 1963/1964: 201-202);

2. ზედაზენი ქართველ წარჩინებულთა და დიდებულთათვის კერპთმსახურების ადგილი იყო, იგი წმ. იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების იქ დამკვიდრებით უკეთურებისაგან უნდა განწმენდილიყო, როგორც წმ. საბა განწმენდილმა განწმინდა ეშმაკეულისაგან „ადგილი კასტელისა“ (ძეგლები, 1963//1964: 202). ის ადგილი, სადაც წარმართულ ეპოქაში მსხვერპლშეწირვა მიმდინარეობდა, ბოროტი ძალები ბინადრობდნენ, ეშმაკთა გუნდისაგან, ნაკერპავებისა და კერპთმსახურების კვალისაგან უნდა გათავისუფლებულიყო და ეს უდიდესი მისია წმ. იოვანე ზედაზნელსა და მის მოწაფეებს ეკისრებოდათ. ამგვარად მკვიდრდებიან ასურელი//სირიელი წმინდა მამები ზედაზნის მთაზე, ულრან ტყეში, კაცთაგან მიუვალ და მხეცთა სავანედ ქცეულ ადგილას (სირაძე, 1992: 49-50).

წმ. იოვანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები, როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, მაცხოვრისა და მისი მოციქულების ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახისმეტყველებით არიან წარმოდგენილნი; მაცხოვრის დარად, წმ. იოვანე ზედაზნელიც თავის მოწაფეებს მოძღვრავს, ასწავლის ბერულ, განდეგილურ და ლავრულ ცხოვრებას. მის მიერ მოწაფეთა მიმართ წარმოთქმული მოძღვრება-დარიგებები, ცალკე აღებული, ჰომილიის ტიპისაა და რომლებიც, ანუ ეს „სწავლანი“, ზემოთაც აღინიშნა, რ. სირაძის ვარაუდით, წმ. იოვანე ზედაზნელის

საკითხის შესახებ მნიშვნელოვანი შეხედულებები გამოთქვა რევაზ სირაძემ (სირაძე, 1992: 35-48). მცხეთა – ახალი იერუსალიმი სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებო კვლევის საგანი გახდა და ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულებებიც გამოითქვა. მარიამ ჩხარტიშვილმა მცხეთისა და მისი შემოგარენის ჰიეროტოპიის, ახალი იერუსალიმის მოდელის საკითხს ქართული იდენტობის ისტორიის კონტექსტში განიხილა (ჩხარტიშვილი, 2019: 83-110). ასევე, თავის ბოლოდროინდელ შრომებში თამილა მგალობლიშვილმა განიხილა იგივე საკითხი განსხვავებული კუთხით. ამავე საკითხს შეეხნენ ედიშერ ჭელიძე, ლ. იავორსკაია„ ა. ლიდოვი, გ. გაგოშიძე და სხვ. ა. ლიდოვის ინიციატივით საერთაშორისო სიმპოზიუმის თემა იყო ახალი იერუსალიმები ქრისტიანულ კულტურაში, რომლის მასალები 2006 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა.

მიერაა შექმნილი; თუ „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ტექსტის თარგუმებს, ბიბლიური სიუჟეტების მიხედვით მონათხრობს, მაგრამ რედაქციულად მაინც განსხვავებულს, გავიხსენებთ, უთუოდ შევნიშნავთ, რომ „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრებაშიც“ ამგვარი მონათხრობი სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ადამის ბიბლიური ეპიზოდის გადმოცემა და გააზრება. ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიურ ეპიზოდს წმ. იოვანე ზედაზნელი თავის კომენტარებს ურთავს, რაც წმინდანის საღვთისმეტყველო საზრისის, მსოფლმხედველობის გასაცნობად არის მნიშვნელოვანი.

წმ. იოვანე ზედაზნელის მოძღვრება, ე.წ. „სწავლანი“, აღსავსეა საღვთო სიბრძნით, ზნეობრიობითა და ღმრთივსულიერობით. მის სიტყვებში გამოსჭვივის ქრისტიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურის ღრმა ცოდნა, დიდი სულიერი გამოცდილება, დამოკიდებულება ამქვეყნიურობისა და ზესთასოფლისადმი, ძველი და ახალი აღთქმის პრინციპების ბერმონაზვნურ ყოფაში გატარებისა და დოგმების დაცვის აუცილებლობა. წმ. იოვანეს მოძღვრებაში ახსნილია ანგელოზთა და კაცთა ბუნების, სოფლისა და ზესთასოფლის რაობა, ღვთისმეტყველების ღრმააზროვანი დებულებების საფუძველზე განმარტებულია, ვინ არის და რისთვის მოსულა ადამიანი; მან მოწაფეებს ადამის ცთომის, აკრძალული ნაყოფის გემოსხილვის ბიბლიური სიუჟეტიც გაახსენა, რათა უცთომლად სიარულს, ბერულ ღვაწლს მიჩვეოდნენ. მოწაფეები გააფრთხილა, რომ ღვთის მცნებებს არ გარდასულიყვნენ, რათა „არა ჩამოგინქრიოს ქვით“ და „აღჯრასხნეთ მას ნებასა ქუეშე სულიერებისასა, რაჲთა ეგნეთ პირველსავე მას დაბადებულსა, რომელსა მიგუაქცივნა უფალმან ჩუენმან“ (ძეგლები, 1963//1964: 205); ყოველი ადამიანი ღვთისგან ქმნილი პირველხატის დაბრუნებას უნდა ცდილობდეს და მის მისაღწევად ღმრთივსულიერი ცხოვრებით იღვაწოს. წმ. იოვანე ზედაზნელის საღვთისმეტყველო მოძღვრებას თხზულებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რადგან იგი ბიბლიურ-ევანგელური სწავლებებითაა გაჯერებული და, ფაქტობრივად, გზამკვლევია ყოველი ლავრულად მცხოვრები//მოღვაწე თუ განდეგილი ბერმონაზონისათვის. წმ. იოვანემ ეს მოძღვრება თავისი მოწაფეების საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადანაწილების წინ წარმოთქვა და ამიტომაც აქვს მას კონცეპტუალური მნიშვნელობა. წმ. იოვანე ზედაზნელის მოწაფეებმა

ამ მოძღვრების კვალობაზე უნდა იღვაწონ და სხვებსაც ასწავლონ საღვთო გზით სიარული.

უკვე ითქვა, რომ წმ. იოვანეს მარტოდმყოფობა ჯერ კიდევ ასურეთში//სირიაში სწადდა, რის გამოც ზედაზენს დამკვიდრებულმა მოწაფეებს ურჩია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადანაწილება, რათა ყველა კუთხე მათი მოციქულებრივი მადლის ნაწილეული გამხდარიყო. ესეც ევანგელურ-აპოსტოლური სწავლებითაა გაჯერებული და ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურით მოცემული, როგორც ქრისტიანული მოძღვრების ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ ჭრილში გავრცელება. ამიტომ თავის მოწაფეებს ნება მისცა, რათა ქართლისა და კახეთის სხვადასხვა კუთხეში ქრისტიანობის საქადაგებლად და განსამტკიცებლად წასულიყვნენ. თან გაატანა ასურეთიდან წამოღებული წმინდა ნაწილები და აუხსნა მათი ღმრთივსულიერი მისია, რომ მათ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ, ეს წმინდა ნაწილები მათი მფარველი უნდა ყოფილიყო და ეკლესიებში დაბრძანებულთ კი მრევლი უნდა დაეცვა. წმინდა ნაწილებს ბერმონაზვნები და მრევლი ხილული და უხილავი მტრისაგან უნდა დაეცვა, უნდა გაემხნევებინა, სულიერად გაეძლიერებინა და ღვთაებრივი მადლით აღევსო. ზოგიერთი ჰაგიოგრაფიული და საისტორიო წყაროს ცნობით, წმ. იოვანეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და წმ. ნინო გამოეცხადნენ და მოწაფეები მაცხოვრის სახელის სადიდებლად მათი სურვილით გაუშვა.

შემთხვევითი არ არის თხზულებაში წმ. ნინოს მიერ ქართლში განმანათლებლის მისიით მოსვლის, სვეტი ცხოვლის აღმართვის ეპიზოდების ჩართვა, რადგან ამ სულიერ მონაპოვრებს, მიუხედავად ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად არსებობისა, გაძლიერება და განმტკიცება სჭირდებოდა. როგორც მაცხოვრის მოწაფეებმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იქადაგეს ქრისტიანობა, ასევე, წმ. იოვანე ზედაზნელის მოწაფეები ქართლისა და კახეთის სხვადასხვა კუთხეში დამკვიდრდნენ, ზოგი – უდაბნოში, ზოგი – მთაზე, ზოგიც – გამოქვაბულში: წმ. შიო იქვე, ზედაზენთან ახლოს მდებარე მღვიმეში წავიდა, რომელიც ამჟამად შიომღვიმის სახელითაა ცნობილი; წმ. დავითი ჯერ თბილისში იმყოფებოდა და მთაწმინდის კალთაზე მონასტერი დააარსა, რომელსაც მამა დავითის ეკლესია ეწოდა, ხოლო შემდეგ გარეკახეთში გარეჯის მიდამოებს მიაშურა და ლავრა დააარსა, რომელსაც მოგვიანებით ქართველთა სინა

უწოდეს; წმ. იოსებ ალავერდელმა კახეთში ალავერდის მონასტერი დააარსა. წმ. ანტონ მარტმყოფელმა მარტყოფის მიდამოებს მიაშურა, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი თავის დაარსებულ ღვთაების მონასტერში დააბრძანა, ხოლო თვითონ სიცოცხლის ბოლო წლები იქვე ახლო მთაზე მდებარე, საგანგებოდ აგებულ სვეტზე გაატარა. ყოველივე ეს მარტვილიის, სულთმოფენობის დღესასწაულის ტოლფარდად არის ასახული თხზულებაში, რადგან როგორც მაცხოვარმა გაანაწილა თავისი მოწაფეები ქრისტიანობის საქადაგებლად, ასევე, წმ. იოვანე ზედაზნელმა თავისი მოწაფეები დაგზავნა საქართველოს კუთხეებში საგანგებო მისიით. თვითონ წმ. იოვანე ელია დიაკონთან ერთად დარჩა ზედაზენზე, სადაც კლდეში გამოქვაბული იპოვა და იქ დამკვიდრდა. გამოქვაბულში მისი მკვიდრობა ერთგვარად ხუედიოსის ქვაბში მკვიდრობის წინასახედ მოიაზრება, რაც წმ. იოვანე ზედაზნელს ხუედიოსის არქეტიპადაც წარმოგვიდგენს. საყურადღებოა ისიც, რომ წმ. იოვანე ზედაზნელმა თავის სიცოცხლეში ზედაზნის მიდამოებში მონასტრის შენების ნება არავის მისცა, როგორც ხუედიოსმა ხანცთაში არავის ააშენებინა მონასტერი. გამოქვაბულში მკვიდრობას, ჩაკეტილ სივრცეში მკვიდრობას სიმბოლური დატვირთვა აქვს, რადგან ქვაბიდან, მღვიმიდან იწყება წმინდანის სულიერი განღმრთობა.

რა იყო ასურელ მამათა ძირითადი მისია საქართველოში მოსვლისას? ის, რაზეც სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერაც არ წყდება კამათი, რომელი მრწამსის, რომელი აღმსარებლობისანი იყვნენ ასურელი წმინდა მამები, ვინ იყვნენ ისინი თავიანთი ცნობიერებით: დიოფიზიტები თუ მონოფიზიტები? თუ დავაკვირდებით მათ სამოღვაწეო ადგილებს ქართლისა და კახეთის სანახებში, ყველანი აღმოსავლეთ საქართველოში მკვიდრდებიან ლავრული ცხოვრების დასამკვიდრებლად. ასურელი მამები იღვწიან აღმოსავლეთ საქართველოს სხვადსხვა კუთხეში, არც ერთი მათგანი დასავლეთ საქართველოში არ გადასულა და იქ არ უღვაწია, რაც უთუოდ ბადებს კითხვებს. უნდა გაირკვეს, რამ გამოიწვია, რა იყო ამის მიზეზი. ჩემი აზრით, სორედ ესაა ასურელ მამათა სულიერი მისიის საფუძველი, მათ ქართლსა და კახეთში უნდა ექადაგათ და განემტკიცებინათ დიოფიზიტური ცნობიერება და მრწამსი, რომელსაც უპირისპირდებოდა ირანი ბიზანტიის იმპერიის საწინააღმდეგოდ. სამეცნიერო ლიტერატურაში დეტალურადაა განხილული ირანის მიერ ქართლში მეფობის გაუქმების საკითხი და გარკვეულია,

რომ VI საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველო ირანის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფება, მან 532 წლიდან მოყოლებული ქართლის სამეფო დაიქვემდებარა. პოლიტიკურად ძლიერი ირანი ასევე პოლიტიკურად ძლიერი ბიზანტიის იმპერიის საწინააღმდეგო ნაბიჯებს დგამს, რის გამოც ქართლისა და სომხეთის ეკლესიებისაგან მონოფიზიტობის დაცვას მოითხოვს, რადგან ბიზანტიაში 451 წელს ქალკედონის IV საეკლესიო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე ოფიციალურ მრწამსად, აღმსარებლობად დიოფიზიტობა გამოცხადდა. VI საუკუნის დამლევსა და VII საუკუნის დამდეგს, 607-609 წლებში ქართლის კათალიკოსის, კირიონ//კირონის ძალისხმევით, რომელიც ამავე დროს პოლიტიკური ალღოიანობითა და გამჭრიახობით გამოირჩეოდა, ქართლმა შეძლო მონოფიზიტობისაგან თავის დაღწევა და დიოფიზიტურ ცნობიერებაზე გადასვლა. ეს იყო საქართველოს მიერ აღებული მკვეთრი პოლიტიკურ-იდეოლოგიური კურსი, რომელიც დასავლეთისაკენ იყო მიმართული. რა ხდებოდა ამ დროს დასავლეთ საქართველოში? რატომ არ წავიდა არც ერთი ასურელი მამა დასავლეთ საქართველოში? იქნებ, იმიტომ, რომ იქ ბიზანტიის იმპერიის გავლენით დიოფიზიტური ცნობიერება ისედაც მკვიდრობდა და ახალ მოციქულებრივ ღვაწლს არ საჭიროებდა, იმ ღვაწლს, რაც ასურელ მამებს დაეკისრათ და ქართლი, კახეთი, კუხეთი დიოფიზიტურ ცნობიერებაზე გადაეყვანა. ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშ მყოფ დასავლეთ საქართველოში დიოფიზიტურ ცნობიერებას საფრთხე არ შექმნია. ამიტომაც არ გადასულან ასურელი მამები დასავლეთ საქართველოში, რომელიც მათი მოღვაწეობის გეოგრაფიულ სივრცედ არ ქცეულა. ეს ვარაუდის სახით გამოთქმული შეხედულებაა და იგი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

წმ. იოვანე ზედაზნელმა და მისმა მოწაფეებმა ბევრი სასწაული ჩაიდინეს და ბევრი სნეული განკურნეს, რამაც მათ მთელს ქართლში სახელი გაუთქვა. ისინი ბევრს ლოცულობდნენ, იღვწოდნენ სულის საოხად და სულიერი განდმრთობისათვის. მათი საქმიანობა და სახელგანთქმულობა ავტორმა, სხვა ჰაგიოგრაფთა მსგავსად, სანთლის ხვიმირს ზემოთ გადგმის ევანგელური სიმბოლიკით ასახა. როგორც მათეს სახარება გვასწავლის: „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ჴჯმირსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რაჲთა ჰნათობდეს ყოველთა; ეგრე ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა“

(მათე, 5, 15-16). ასევე, წმ. იოვანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა შესახებ ჰაგიოგრაფი-მწერალი გვამცნობს: „გამოუბრწყინდა ვითარცა მთიები განთიადისაჲ, რომელმან ფარულად ადიდა ღმერთი და მის მიერ განავრცნა წიაღნი მისნი და დაიტია ნათელი იგი დიდი მაღლით მოყვანებული, რამეთუ ვერ შესაძლებელ იყო, ვითარმცა ვინ აღანთის სანთელი და დაფარა ხჳმირსა, არამედ ზედა სასანთლესა, რაჲთა ჰნათობდეს კაცთა“ (ძეგლები, 1963//1964: 213). ეს მოტივი კიდევ ბევრჯერ შეგვხვდება ქართულ და ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიაში.

„წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრებაში“, სხვა ასურელ მამათა „ცხოვრებების“ მსგავსად, ცხოველთა მოთვინიერების ეპიზოდი აისახა. ამ მხრივ შესაძლოა იგი სხვა ასურელ მამათა „ცხორებების“ წინასახეც იყოს, როგორც ასურელ მამათა შესახებ შექმნილი პირველი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები. კერძოდ, „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების“ ავტორი დათვის ეპიზოდს გვიამბობს, რასაც სიმბოლური ფუნქცია ენიჭება, რადგან წმინდანის სიტყვა მასზეც გავლენას ახდენს: „მჴეცებრივსა მას ბუნებასა უტყუსა და უგუნურსა ესმინა სიტყუაჲ იგი წმიდათაჲ, და ჩუენ მჴეცთა უბოროტესად გამოვჩნდით, ყოფილთა მათ შორის აღმოვიკითხავთ და მოცემულნი იგი მცნებანი გუასმიან და ვნებად მოყუასთა ჩუენთა არა დავსცხრებით“ (ძეგლები, 1963//1964: 215). ცხოველთა მოთვინიერების ეპიზოდები ასახულია „წმ. შიო მღვიმელის ცხოვრებასა“ და „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრებაში“.

უაღრესად მნიშვნელოვანია წმ. იოვანე ზედაზნელის დარიგებები ასურელ წმინდა მამათა მიმართ; ესაა ქრისტიანული მოძღვრებით გაჯერებული და ნასაზრდოები ქადაგება, რომელიც ბიზანტიელ ჰომილეტიკოსებსაც მოგვაგონებს და ქართველ მქადაგებლებსაც. მათ ქადაგებებს შორის ბევრია საერთო. მაგრამ წმ. იოვანე ზედაზნელის მიერ თავისი მოწაფეების დასამოძღვრად წარმოთქმული სიტყვა შეზავებულია „მარილითა მადლისაჲთა“ (გიორგი მერჩულე), რომელშიც ზნეობრივ-ეთიკური თვალხედვა, წმინდა მამათა ცხოვრების წესები, მათი ყოველი ქცევა განპირობებულია ღრმა სიბრძნითა და ცოდნით. ამავე დროს, იგი ყურადღებას იქცევს რიტორიკული ხერხებით, სახისმეტყველებითი ასპექტებითა და ლიტერატურულ-მხატვრული საშუალებებით. ავტორის მხატვრულ ოსტატობას გვიმოწმებს მისი სააზროვნო სამყარო და სივრცე, რომელშიც სამოთხისა და ამქვეყნიური სამყაროს შეპირისპირებით იშვიათი

მხატვრული სურათია დახატული. ავტორმა სოფელი მიიჩნია „ეკლოვან ქუეყანად“, ხოლო ზესთასოფელი – ღვთისაგან ბოძებულად. მისი მოძღვრება და სწავლება შეეხება პირველ-ცოდვის არსის ახსნას, რაც მოჰყვა პირველ ადამიანთა გემოჲსხილვას, ამიტომ ურჩევს მოწაფეებს, თავი აარიდონ ურჩებას, ნაყროვანებას, რასაც მოჰყვა სამოთხიდან ადამის გამოდევნა: „რამეთუ შუებისა და საჭმლისაგან იშვა ურჩებაჲ იგი ადამისი, რომელი ნაშობთა მისთა ზედა დადგრომილ არს. ამან გამოჴადა იგი სამოთხისა მისგან საშუებელთაჲსა. უკუე სჯული იგი მარხვისაჲ დაემარხა, არამცა მოცემულ იყო ჩუენდა ეკლოვანი ესე ქუეყანაჲ, არცა სიკუდილი უფლებდა ჩუენ ზედა, დაღათუ ძლიერებაჲ იგი მაღლით დაამდაბლებდა“ (ძეგლები, 1963/1964: 203). „ეკლოვანი“ სოფელი სიმბოლური ხატ-სახეა, რომლის ალუზიები, რემინისცენციები ხშირად გვხვდება საერო მხატვრულ ლიტერატურაში. ფაქტობრივად, ავტორმა მეტაფო-რულად გამოხატა წუთისოფლის რაობა და არსი.

წმ. იოვანე ზედაზნელის აღსასრულის შესახებ მოგვითხ-რობს „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაც“, რომელშიც წმ. იოვა-ნე ზედაზნელმა თავის მოწაფეთა ხილვა და მათი ნაღვაწის შეფასება მოისურვა. მან თავის მოწაფეთ განუცხადა, რომ მისი აღსასრულის ჟამი მოწევნულ იყო და მალე აღვიდოდა უფალ-თან, მაგრამ „ეშინოდა ჰაერის მცველთაგან, რამეთუ საზარელ არიან, დააყენებენ სულსა, რაჲთა არა აღვიდეს სასუფეველად“ (ძეგლები, 1963//1964: 227). ამიტომ მოწაფეებს შესთხოვა, რომ მისი სულისათვის ელოცათ. ჰაერის მცველები ბოროტი ძალები არიან და ადამიანთა სულებს აყოვნებენ, სასუფევლის გზაზე ეღობებიან (რუხაძე, 2003: 176). წმ. იოვანე ზედაზნელმა სიკვდი-ლის წინ მოწაფეები დამოძღვრა და დაუბარა, დაეკრძალათ მისსავე არჩეულ გამოქვაბულში. მოწაფეებმა ეს ადგილი მისი ნეშტის დაფლვისათვის შეუფერებლად მიიჩნიეს და, ანდერძის მიუხედავად, ლუსკუმაში ჩასვენებული მისი ერთ-ერთი მოწაფის თათას მიერ აშენებულ მონასტერში პატივით დაკრძალეს. წმ. იოვანეს ცხედარმა ეს ადგილი ვერ იგუა და მოხდა სასწაული, დაიწყო მიწისძვრა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ წმ. იოვანეს ნეშტი მის მოწაფეებსა და ზედაზენზე დამკვიდრებულ ბერმო-ნაზვნებს იქ არ უნდა დაეტოვებინათ. კათოლიკოსის ნებართვი-თა და ლოცვით იგი გადაასვენეს წმინდანის მიერ დაბარებულ ადგილას, მღვიმეში, სადაც შემდეგ ეკლესია აშენდა. ესეც წმინ-დანთა თავმდაბლობის მაუწყებელია, რადგან ისინი ამქვეყნიურ

ცხოვრებაში არასოდეს მიელტვიან სიმდიდრეს და არც გარ-დაცვალების შემდეგ სურთ მდიდრული საფლავი. წმ. გრიგოლ ხანცთელმაც ხომ თავისი ძმობის წევრებს შორის მოისურვა სამუდამო განსასვენებელი. ყოველივე ეს წმინდანთა შემამკო-ბელი თავმდაბლობაა, მათი თვისებაა. წმ. იოვანე ზედაზნელის გარდაცვალება და მისი ზეცად აღსვლა, ზესთასოფელში გადა-ნაცვლება წარმოსახულია იაკობის კიბის სიმბოლიკით, რომელ-ზეც ანგელოზები გადმოდიოდნენ და წმინდა მამის სულს ზე-ცად აღიყვანდნენ, რაც, აგრეთვე, სიმბოლური ხატმეტყველებით გამორჩეული ეპიზოდია. დიდი ხნის შემდეგ ამ მღვიმესთან, მის აღმოსავლეთით, კათალიკოსმა კლემენტოსმა ააშენა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია.

თხზულებაში ყურადღებას იქცევს იმ გეოგრაფიული სივრცის აღწერა, სადაც ბერები მკვიდრდებიან და მონასტრებს აშენებენ. ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში ბუნების აღწერა ყოველთვის მიზანდასახულია, მას ბერმონაზონთა სამოღვაწეო ადგილის მკითხველთათვის გაცნობის მხატვრული ფუნქცია ეკისრება და შესაძლოა რეალური სურათი არც იყოს დახატუ-ლი. ბუნება და ბერის სამოღვაწეო ადგილი ერთმანეთთან შეხამებული უნდა იყოს, ბუნება ხელს უნდა უწყობდეს ასკეტურ ყოფას, განდეგილურ ცხოვრება-მოღვაწეობას. გავიხსენოთ იაკობ ხუცესის ჰაგიოგრაფიული თხზულება და მასში გადმო-ცემული ქვემო ქართლის ბუნების სურათი, რომელიც შესაძლოა ისეთი მკაცრი სულაც არ ყოფილიყო, როგორადაც იაკობმა დახატა. „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ ზედაზნის მთის ბუნებაა ასახული და მისი სიმკაცრეა ნაჩვენები. ცხადია, ავტორს ამგვარი მკაცრი ბუნების დახასიათება-აღწერა მოღვა-წის ღვაწლის სიმძიმის საჩვენებლად სჭირდება. ბერს მძიმე ყოფა აქვს, მძიმე პირობებში უწევს ცხოვრება; მომავალი ბერე-ბისათვის ეს დეტალი გაფრთხილებაა, რადგან ამგვარ რთულ პირობებს შესაძლოა ყველამ ვერ გაუძლოს. წმ. იოვანე ზედა-ზნელის მოწაფეს, ელია დიაკონს, გაუჭირდა კიდეც. ავტორი გვიამბობს, თუ როგორ გაჩნდა წყარო ზედაზნის მთაზე და იგი მოსე წინასწამეტყველის მიერ ქორების კლდესთან კვერთხის დაკვრის შედეგად წყაროს გადმოსვლის პარადიგმითაა წარმოდ-გენილი. ისევ სიმბოლური აზროვნების კვალობაზე ააანა-ლიზებს ავტორი კლდისა და კვერთხის სიმბოლურ მნიშვნე-ლობას: „კლდე იგი სახე ქრისტესი იყო და კუერთხი იგი აჩრდილი ჯუარისაჲ“ (ძეგლები, 1963//1964: 212). როგორც მოსე

წინასწარმეტყველმა ეგვიპტის მონობიდან გამოხსნილი ებრაელები კლდეზე კვერთხის დარტყმის შედეგად გადმოსული წყლით დაარწყულა, ასე წმ. იოვანე ზედაზნელის ლოცვით ზედაზნის მთაზე გადმოვიდა წყარო, „ტკბილი, გრილი და ფრიად შუენიერი მდიდრად, რომელი დის მყოფთათჳს მის მონასტრისათა“ (ძეგლები, 1963//1964: 212), რომელიც არა მხოლოდ დასალევად, არამედ საკურნებლად გამოიყენებოდა.

შედეგები და დასკვნები.

ასურელ მამათა მოღვაწეობამ ღრმა კვალი გაავლო ქართული ეკლესიის, ქართული კულტურის, საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიაში. წმ. იოვანე ზედაზნელმა აღასრულა სრბაჲ თვისი და დატოვა წმინდანის სახელი. მან და მისმა მოწაფეებმა უდიდესი მნიშვნელობის საქმეს ჩაუყარეს საფუძველი, ეს ლავრული ცხოვრება იყო, ხოლო სამონასტრო ცხოვრებას მოჰყვებოდა სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმეებიც, რადგან მონასტერი ის ადგილი, ის სივრცე იყო, სადაც იწერებოდა თხზულებები, სრულდებოდა თარგმანები უცხო ენებიდან, ვითარდებოდა ხატწერა, ფრესკული მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, მიმდინარეობდა ხელნაწერთა გადაწერა-გამრავლება, მონასტრებში არსებობდა სამგალობლო სკოლები, რომლებსაც ერის სულიერი აღმზრდელის როლი ეკისრებოდა, რადგან იგი, როგორც სიტყვისა და მელოსის ნაზავი, მსმენელზე უდიდეს სულიერ გავლენას ახდენდა. ყოველივე ეს ქართველი ერის სულიერი, ინტელექტუალური და მატერიალური კულტურის საკუთრებად იქცა. ვფიქრობ, რომ ასურელ მამათა უდიდესი დამსახურება იყო ქართული ეკლესიის დიოფიზიტურ ცნობიერებაზე გადასვლა, რაც დასავლურ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ორიენტაციას მოწმობს. მათ განსაკუთრებული, მოციქულებრივი, კონცეპტუალური როლი შეასრულეს ქართველი ერის ქრისტიანული მართლმადიდებლური აღმსარებლობის, დიოფიზიტური ცნობიერების დამკვიდრებაში, რაც ეპოქალურ მოვლენად აღიქმება. ყოველი ამ დიდი მნიშვნელობის მქონე საქმეთა სათავეებთან წმ. იოვანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები დგანან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა, 1994: ახალი აღთქმა, წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქცია, თბილისი, 1994.

2. გრიგოლაშვილი, 1983: ლ. გრიგოლაშვილი, დროისა და სივრცის პოეტიკა ქართულ ჰიმნოგრაფიაში, კრებ.: ივირონი – 1000. თსუ გამომც., 1983.

3. კეკელიძე, 1957: К. Кекелидзе, К вопросу об иерусалимском происхождении грузинской церкви, Этюды из истории древнегрузинской литературы, Тбилиси, 1957.

4. ლიდოვი, 2009: А. М. Лидов, Новые Иерусалимы. Икротопия и иконография сакральных пространств, Москва, 2009.

5. რუხაძე, 2003: ლ. რუხაძე, „ჰაერის მცველის“ სახისმეტყველებისათვის ძველ ქართულ ლიტერატურაში, ლიტერატურული ძიებანი, XXIV, თბილისი, 2003.

6. სირაძე, 1992: რ. სირაძე, „ვიცი, რაჲსათჳს ვარ“, წიგნში: ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბილისი, 1992.

7. სირაძე, 1975: რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტ-ერატურული აზროვნების საკითხები, თბილისი, 1975.

8. ფერაძე, 2006: გრ. ფერაძე, ბერმონაზვნობის დასაწყისი საქართველოში, თარგმნა თამარ ჭუმბურიძემ, თბილისი, 2006.

9. ფსალმუნნი, 1960: ფსალმუნნი, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მზექალა შანიძემ, თბილისი, 1960.

10. ძეგლები, 1963/1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლი-ტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რე-დაქციით, თბილისი, 1963-1964.

11. ჩხარტიშვილი, 2019: მ. ჩხარტიშვილი, ჰიეროტოპიული პროექტი „მცხეთა – ახალი იერუსალიმი“ ქართული იდენტობის ისტორიის კონტექსტში, კრებ.: ელდარ მამისთვალისშვილი – 80, გორის სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019.

12. ჯიქია, 2002: ა. ჯიქია, IV-V საუკუნეთა ქართლის მონაზვნური ცხოვრების შესწავლისათვის, ლიტერატურული ძიებანი, XXIII, თბილისი, 2002.